

რეაქცია



№ 10 გამთავის წელი 80-XV
თბილისი, 1938 წ.

გამომცემლობა „კომუნისტი“
ფასი 60კ.



29/11 49
208

ნახ. ღონისა.

ესანის კურსში პარია

დედაბერი: — მესამე დღეა უკვე და დეპეშა არ არის, გაზეთიც ვერ გამოვიდა დროზე: ტორპედოს ლოკომოტივთან უნდა ელაშაშნა, დინამოს ზენიტთან, ვინ მოიგო, ვინ — წააგო, ვერაფერს შეიტყობ!..

მეგობრული სასამართლოები

ოცდახუთმეტოდე წლის, საშუალო სიღამაზის მქონე მამაკაცი მოსამართლის მაგიდის წინ გაჩერდა. გამოიძახეს ამისი ცოლი — ლიზა ციბაძისა.

და მოსამართლემ იკითხა:

— მოპასუხე ციბაძე, მოგვიყევით როგორ მოხდა, ნებაყოფლობით გაკეთდა ეს ყველაფერი, თუ ძალა იხმარეთ?

— არავითარი ძალის ხმარება — დაიწყო მოპასუხე არჩილ ციბაძემ — არც ნებაყოფლობას ჭონია ადგილი.

— თქვენ დასაწყისშივე ცრუობთ, თუ ნებაყოფლობით არ იყო, მაშასადამე ძალა გიხმარიათ!..

— ნაწილობრივ რასაკვირველია, ისე აბა რას გავხდებოდი, მაგრამ იმასაც მოვახსენებთ, რომ მაინცდამაინც დიდად არ დამჭირებია ძალის ხმარება.

— მალე დაგნებდათ?

— რასაკვირველია, მეტი რა გზა ჰქონდა.

— გვიამბეთ დაწვრილებით, რა იყო, რა პირობებში მოხდა.

— კარგად შეღამებული ვახლდით, კინოდან დავბრუნდი, შევედი ოთახში, ავანთე ელნათურა და რა ვნახე! ჩვეულებისამებრ ჩემს ოთახში დამიხვდა...

— თქვენ ამბობთ, რომ მანამდე თავისით დადიოდა თქვენს ოთახში, ხომ?

— დიან, ძალიან ხშირად...

— მართალია ეს ყველაფერი მოქალაქე ლიზა ციბაძისა? — შეეკითხა მოსამართლე არჩილ ციბაძის ცოლს.

— დიან, სრული ჭეშმარიტებაა!..

მოსამართლე მდივანს მიუბრუნდა:

— შეიტანეთ ოქმში, ბრალდება ძალის ხმარების შესახებ არ მართლდება. თქვენ მართალი ხართ მოქალაქე არჩილ ციბაძე, მაშასადამე ჩვეულებისამებრ ოთახში დაგიხვდათ, თქვენს საკუთარ ბინაზე...

— დიან, ჩემს საკუთარ ბინაზე დამიხვდა. უკაფი გამოეღო და რძეს თქვლევდა. იმ თვეში ერთი ხუთმეტჯერ მაინც ჰქონდა ადგილი ასეთ შემთხვევას. მთელი რძე მაგან გამიჩანაგა. მარტო რძე კიარა, ყველი, კარაქი, ერბო, არაფერს მიყენებდა.

— მართალია მოქალაქე ლიზა ციბაძისა?

— სრული ჭეშმარიტებაა!

— განაგრძეთ მოპასუხე ციბაძე, თქვენ მოუსწარიტ იმ მომენტში როდესაც რძეს მიირთმევდა, შემდეგ?

— შემდეგ თავი მიხლოდა შემეკავებინა, მაგრამ ნერვები ვერ შევკავე: დავწვიდი და...

მოსამართლემ შეაწყვეტინა:

— მაშასადამე თქვენ ამტკიცებთ, რომ მას, როგორც თქვენს მოპირდაპირე სქესს, ამ მხრივ არაფერი გამოუწვევია თქვენში, თქვენ ავალელებათ მხოლოდ იმან, რომ თქვენი რძე შეჭამა. მართალს ამბობს მოქალაქე ციბაძისა?

— მე მგონია, რომ ამის მტკიცება არ დასჭირდება! არჩილ ციბაძე განერვიულდა:

— თქვენ მე შეურაცხყოფას მაყენებთ, პატივცემულო მოსამართლევ, რა შუაშია აქ სექსუალური საკითხები?!

თავის მხრივ მოსამართლე უფრო გაბრაზდა:

— რა შუაშია, რა შუაშია! მთელ თვეებს თქვენთან ერთად იწვა ლოგინში, ახლა კი ლაპარაკობთ, რა შუაშია სექსუალური საკითხებიო. მაშ, ბალს კრეფდით?! შედეგი? ხომ ხელთ გვაქვს. უარის თქმა აქაც ხომ არ შეგიძლიათ?!

— უარს, რასაკვირველია, ვერ ვიტყვი, შედეგი ხელთ გვაქვს, მაგრამ მაბატიეთ, თუ გაწყენინოთ, პატივცემულო მოსამართლევ, თქვენ სასტიკ ცილს მწამებთ! — და არჩილ ციბაძე წაბარბაცდა, თავი ჩაღუნა და იქვე სკამზე ჩაიკეცა.



მცირე ხანს გარინდული იყო-ხუთმა ბავშმა, რომლებიც პროცესს ესწრებოდნენ, იხუვლეს და შეწუხებულ მამას მისცივდნენ.

— მამილო! მამილო. — ტირილდნენ ისინი — რა დაგემართა? და შეიქნა წრიალი.

არჩილ ციბაძე გამოერკვა:

მე კატა მოვკალი მხოლოდ. ვერ მოვიტომინე, რას ვიზამდი, რძის ჭამაზე მოვუსწარი. რაც გენებოთ ის მომისაჯეთ, ოღონდ დამანებეთ თავი.

ლიზაც გაცხარდა:

— კატა მოკლა, მეტი ხომ არაფერი?! მიუსაჯეთ რაც ეკუთვნის და გაათავდა, ხომ არ დაარჩობთ?!

მსაჯულს ცრემლები წამოსცივდა: საწყალი ქალი — თქვა მან: შეეცოდა ქმარი და საჩივარზე უარს ამბობს... ეგ კაცი ნამდვილი მსახიობი ყოფილაო.

არჩილი ამბობდა:

— გინახავთ ასეთი დაწყევლილი მეზობელი? ჯერ იყო, მისი კატა არ მასვენებდა, ახლა თითონ აღარ მასვენებს! კატა მოვკალი, კაცი ხომ არ მომიკლავს!..

მოსამართლე უფრო გაცხარდა:

— თქვენ მსახიობობით ვერ მოგვატყუილებთ, მოქალაქე ციბაძე. აქ კატა არაფერ შუაშია. თქვენ ალიმენტს არ უხდით თქვენ ცოლს ლიზა ციბაძისა. მასთან გყავთ ბავშვი, გივი ციბაძე. თქვენ არღვევთ საზოგადოებრივ წესრიგს.

არჩილს გაუკვირდა:

— ალიმენტი?! რად უნდა მივცე ალიმენტი?!
— როგორ თუ რად, ბავშვი ხომ თქვენგან ეყოლა!
— დიან, მაგრამ ჩემგან მარტო გივიყო კი არა, ხუთი სხვაც ეყოლა: ოთარი, შიო, ლია, მარო, ქეთო. მერე რა, ეს დანაშაუ-ლია?!..

— მოქალაქე ლიზა ციბაძისა, მართლა მისგან გეყოლათ დანარჩენი ბავშვებიც?

— რა არის აქ საეჭვო?!

— და თქვენ არ მოითხოვთ რომ იმ ხუთშიც მოგცეს ალიმენტი თქვენმა ქმარმა?

— არა, ბატონო, რად უნდა მოვითხოვო?!

— მაშ მისგან არ გყოლებიათ. რატომ ცრუობთ მომიჩივანო, გივის ალიმენტს თუ მოითხოვთ, დანარჩენებმა რაღა დააშავეს?

— რის ალიმენტი, რომელი ალიმენტი, ნუ გამაგიჟეთ ქალი პატივცემულო მოსამართლე!..

— თქვენ საცოდავი ყოფილხართ, ალბად გცემდათ კიდევ თქვენი ქმარი!.. როგორ დაუშინებინართ!

— რის შიში, რის ცემა! თავს რატომ მჭრით, პატივცემულო მოსამართლე? რა საჭიროა ამდენი ცილისწამება?!

მოსამართლე აენტო. საქმეებიდან ქალაღლი ამოიღო და ლიზას მიაწოდა:

— რას იბნევით ქალო, ეს განცხადება თქვენი დაწერილი არ არის?!

ლიზამ საკუთარი ხელით დაწერილი განცხადება ხმამაღლა წაიკითხა:

„..... უბნის სასამართლოს.

ლიზა ციბაძის

განცხადება.

მოგეხსენებათ, რომ ჩემმა ქმარმა არჩილ ციბაძემ დამაროხულა და მიმატოვა. ახლა ბავშვი მეყოლა და უურადღებს აღარ მაქცევს. გთხოვთ გადახედვინოთ ალიმენტი და ბავშვის აღზრდის საშუალება მომცეთ.

ლიზა ციბაძე.“

ლიზას ბავშვზე ირონიული სიცილი აღიბეჭდა.

— ეს განცხადება დიდი ხნის ისტორიის მქონეა, პატივცემულო მოსამართლენო; ამ განცხადების თქვენთან შემოტანის შემდეგ ხუთი შვილი კიდევ შეგვეძინა, ხედავთ ამ განცხადებას ბოლოში რა ლამაზად აწერია 1932 წლის 17 ივნისი? კარგი რომ მოთხოვა არჩილმა და ახლა მეგობრულად ვცხოვრობთ, თორემ აქამდე, რომ თქვენს მოიმედეს ალიმენტისთვის მეცადა ხომ...
დარბაზში სიცილი ატყდა.

მოსამართლემ განცხადება გამოართვა, თარიღს დახედა და მდევანს უსაყვედურა.


— რიცხვს ველარ დააკვირდი? ტყუილად რად გამარჩევინე საქმე? შემდეგ არჩილის მეზობელი გამოვიდა და სახალხოდ განაცხადდა:

— შევირგდეთ, ამხანაგო არჩილ, განა ისე სულმოკლედ ჩამთვალეთ, რომ კატის მოკვლისათვის სასამართლო მომეცდინა?!

8. ივანიშვილი

ნახ. ან. კანდელაკისა.

გერმანელმა ფაშისტებმა ვენაში დახურეს დიდი თეატრი.



უშუაგვრად დარჩენილი მსახიობი: — მათი რეისტაგი, მათი არჩევნები, მათი პოლიტიკური ცხოვრება! ახელა თეატრალური „კულტურა“ აქვთ და ჩვენ კი თეატრი დავგინხურეს!..



სასადილოს გამგე: — აი, მესმის ხალხი: ამათანა მომხმარებლები, რომ მყავდეს, არავინ იტყვის „კამეჩის თავ-ფეხი ცული საკმელია“.

წალენჯიხელი „გვრიტები“



წალენჯიხელი
„გვრიტები“

ერთ მშვენიერ დღეს წალენჯიხის რაისაბქოს ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებამ თბილისიდან, ასეთი დეპეშა მიიღო:

„წალენჯიხა წრტ.“

ადგილობრივი მრეწველობის განყოფილება წრტ.

ილიკო სონგულიას წრტ.

ჩამოდით ბიუჯეტის საკითხებზე წრტ“.

დეპეშა მიღებისთანავე განყოფილების გამგეს ჩააბარეს.

საერთაშორისო ვაგონი... თბილისი გიგანტური მშენებლობით... პროსპექტები... პარკები... ოპერა... უთვალავი კაფე-რესტორანები. საოცნებო მირაჟით წარმოუდგა თვალწინ ილიკო სონგულიას, მაგრამ ოცნების ცის გუმბათს მწუხრის ნიავმა გადაუქროლა. სხვა შემთხვევაში ილიკო სიამოვნებით გაიქროლებდა თბილისში, მაგრამ ახლა რა ჰქნას? როგორ გასწიროს მისი კატუშა, მოლარე ქალი, მისივე თანამშრომელი კატუშა ჯალალანია?! წალენჯიხა თუ თბილისი? წასვლა თუ დარჩენა; არა, უიმისოდ ფეხს ვერ გადავდგამ, არსად არ წავალ; მას ენაცვალოს ადგილობრივი მრეწველობის გეგმაც, ხარჯთაღრიცხვაც, ბალანსებიც და ბიუჯეტიც — გაიფიქრა ილიკომ და ჩაილინა:

სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ
და მისროლია ისარი,
სადაც მეგუღვის კატუშა,
ჩემ გულთან შენაფიცარი,

სადაც ჩემ მკერდთან ვაწებე
მის მკერდის ბროლის ფიცარი.
სადაც მის ფეხი გოგმანობს —
ჩემი სამყოფიც ის არი.

არ გავცვლი მე ჩემს კატუშას
უკვდავებისა ხეზედა.
არ გავცვლი წალენჯიხასა
თბილისის სამოთხეზედა.

თბილისს რომ მომცე „პრაგონი“,
„სუტონი“ უთვალავია,
სასტუმრო ოქროს ტახტითა,
ავტო და მტკვარზე ნავია —

არა ვინდომო ეგენი,
არ მოკვდეს ჩემი თავია,
სადაც კატუშა არ მახლავს
იქ დღე ნათელიც შავია.

მივლინებაში „წასვლა - არ წასვლის საკითხმა“ ილიკოსათვის შექსპირის გმირის ჰამლეტის ყოფნა არყოფნის ხასიათი მიიღო.

კატუშასაც მთელ ღამეს ძილი არ მიკარებია: ეჩვენებოდა თითქო ილიკო უკვე თბილისში იყო წასული და თითქო კატუშა მართლობით ცრემლმორეული გიტარაზე მოწყენით ღიღინებდა:

ილიკოს თვალეზ ვეძებდი,
ვერ ვნახე გაფრენილიყო,
გულამოსკვნილი ვჩიოდი:
სადა ხარ ჩემო ილიკო?

საშემოსავლო ორდერი
უჯრაში ჩაფრენილიყო,
გამოვადე და შევკითხე:
შენ ხომ არა ხარ ილიკო?

იქვე ხელფასის უწყისიც
შეირხა, თავი დახარა
და მის ფურცელთა შრიალით
ილოსთან შეურა მახარა.

მეორე დღეს ილიკოს კაბინეტში ზარი აწკარუნდა. ზარის ხმაზე

ილიკოსთან შიკრიკი გაჩნდა.

— მოლარეს დამიძახე! — გასცა ბრძანება ილიკოს სონგულიას.
მოლარე შემობრძანდა.

— კატუშა, თბილისში უნდა წავიდეთ!

კატუშას სახეზე აღტაცება და გაცეცხა ერთად აღიბეჭდა.

— მეც? მე ხომ არა ვარ გამოძახილი!

— ფიქრი ნუ გაქვს, მოემზადე.

— თქვენ მივლინებაში მიდიხართ მე კი... როგორ იქნება?!

— მოემზადე, სამივლინებო ხარჯებს გავიტარებ.

— კი მაგრამ... — უხერხულობდა კატუშა.

— ჩემი საქმეა, მმართველი ვარ! ვბრძანებ და გავატარებ! — გაუმეორა ილიკომ.

* * *

— ორადგილიანი კუპე მომეცით რბილ ვაგონში! ორი ბილეთი! — უთხრა ილიკომ ზუგდიდის რკ. გზ. სადგურის მოლარეს.

— ორადგილიანი კუპე არ არის, ოთხიანია! ინებეთ!

— არ მინდა! ხელს არ მაძლევს! ფეხით წავალ და ოთხადგილიანში მაინც არ ჩავჯდები!

— მექუთუნაროდნი გახლავთ, ორადგილიანი!

— მომეცით, ჩემი საქმეა! და ილიკოს სიხარულით თვალეზი გაუბრწყინდა.

მეორე დღეს დილით მივლინებაში გამგზავრებული „გვრიტები“ უკვე სადგურში ჩამოვიდნენ. ტელეფონი ავტომატით ვაკის ავტოგარაჟიდან ტაქსი გამოიძახეს, ჩასხდნენ და სასტუმრო „ვეროპას“ მიაშურეს.

— ნომერი მომეცით!

— არ გახლავთ დაკავებულია! თუ გნებავთ, საერთოში მოგათავსებთ. ქალებისათვის ცალკე გვაქვს და კაცებისათვის კიდევ ცალკე.

— არ გვინდა, ხელს არ გვაძლევს.

მის შემდეგ „კოლხიდას“ მიაშურეს. იქაც იგივე დიალოგი გაიმართა. კოლხიდიდან „პალასში“ გაეშურნენ.

— ნომერი მოგვეცით!

— ინებეთ! აირჩიეთ რომელიც გნებავთ!

სტუმრებმა მე-12 ნომერი აირჩიეს.

* * *

წალენჯიხელი „გვრიტების“ მივლინებამ თბილისში ორ კვირას გასტანა, თუმცა ილიკომ სამსახურის საქმე სამ დღეში მოაგვარა.

— როგორ ხართ, როგორ მოეწყვეთ? — ეკითხებოდნენ „გვრიტებს“ თბილისში შეხვედრილი ნაცნობები.

— საუცხოვოდ! — უპასუხებდა ილიკო სონგულია.

— როგორ მოგწონს ეს პატეფონი? — ეკითხებოდა კატუშას სავაჭროს ვიტრინასთან მდგომი ილიკო.

— ფერი არ უვარგა, კიდევ მეძვირება...

— ფასზე ნუ ფიქრობ, მივლინების ხარჯებში გავატარებ.

შექვიფებული ილიკო თანდათან როლში შედიოდა...

— როგორ მოგწონს მაუდის ფაბრიკა? მთავრობის სასახლე? ოპერის თეატრი? ავტოები? ტროლეიბუსები? თბილისის აეროდრომი? ფუნუკულიორი?... რაო?... გეძვირება?... ფიქრი ნუ გაქვს... მივლინების ხარჯებში გავატარებ!

კატუშა უფრო მორცხვი აღმოჩნდა და დაკმაყოფილდა მხოლოდ იმით, რომ ილიკოს ბრძანებით ბულალტერიამ გაატარა კატუშას მივლინების ხარჯები.

ამ ამბის შემდეგ წალენჯიხელები ასე მღერაინ:

ილიკომ და კატომ დარდი
მტკვრის ცელქ ტალღებს გაატანეს,
სამივლინებო ხარჯები
გასავალში გაატარეს.

სიკიბო!

კავიჯახეულო ნიანგო!



რაც ჩვედი ჩოთქში, არაფერი არ გამოვიდა. ოქში, ოქშიო მეძახოდნენ ჩოთქის მარცვლები და თითქოს სადღაც მიფრინავდნენ. მართალი გითხრათ თავმდაბალი კაცი ვარ და არ მინდოდა ყველას გაეგო, თუ რაიმეს ვაკეთებ და შემტკივა გული.

„საქმემან შენმა გაცხონოს შენო“ უთქვამთ. — მეც ამ აზრის ვარ. სულ ერთია, თუ ასე დასაფასებელი ვარ, ბოლოს მაინც გამოჩნდებოდა, გიამბობთ, თუ რა გადამხდა ამ შვიდი-რვა წლის მანძილზე. რამდენი დამცირება და წამება გადავტანე. მაგრამ უმორჩილესად გთხოვთ ყველაფერს ნუ გამოაქვეყნებთ. რა საჭიროა — ვინც ვერ მიცნობს თავის ქებათ მოფიქვენება:

1931 წლის 20 მაისს თანახმად აპარატის გამწმენდ კომისიის დადგენილებისა მოხსნილი ვაყავი მესამე კატეგორიით, სამა წლის ვადით ფოსტაში სამსახურის აკრძალვით; დასამტკიცებლად გირდგენთ შრომის სიიდან ამონაწერს. მაგრამ რა. ცოტა ხნის შემდეგ იმავე აპარატში მიმიყვანა და მომაწყო ხალ-

ხის აწ გამომუქვანებულმა მტერმა. თავს კარგად ვგრძნობ და შეტევაზეც გადავდივარ.

მიმდინარე წლის 15 მარტს, გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული იყო წერილი, სათაურით: „გველესიანი თავხედობს“, ეს წერილი გამოსარკვევად გადავგზავნა ორჯონიკიძის რაიპროკურატურას და მთელი მასალა აქვს გამომძიებელ გაბეჩავას. მე რა! არ შეგეპამოს ტურამ. ჰქონდეს, თუ ასე უყვარს ეს ქალაქი.

არავის არ ვსცნობ უფროსთაგანს, 17 მარტს ჩემთან შემობრძანდა საკონტროლო ბიუროს უფროსი ჯანიაშვილი და რაღაც ცნობა მთხოვა. უარი ვსტკიცე, ხოლო როდესაც კიდევ შემომბედა — მოშორდი, ნერვებს ნუ მიშლი, ვადი გარეთ თქვა და ავფერთხე. გამაბრაზა ჯანიაშვილმა, მაგრამ მავნებელი უწოდე და მთლად მოუღე ბოლო. ხლაფორთობს ეს საცოდავი. გაასაჩაღრა ორჯონიკიძის რაიპროკურატორთან, მაგრამ არ მომიტხაროს შავი ბუღე.

როცა საქმე გამწვადდა, სამმართველოს უფროსის მოადგილეს კეცელიძესაც ჩავუჭიკე, რომ არც იმას ვცნობ და მის ბრძანებებს არ შევასრულებ. ეს მის კაბინეტში იყო, დიახ, მის კაბინეტში. პატივცემულო ნიანგო! არ ხართ მართალი, რომ მარტო მთვლით მე ბრძოლის ველზე. სამმართველოს მთავარი ბუხპალტერი სტეფანიდი, რომელიც ჩემთან იყო გაწმენდილი, მხარში არ მიდგას?

რევიზორი ასათიანი შემფურზე მყავს აგებული. საცაა შევწვავ და გადავსანსლავ. ხოლო როდესაც მასი საქმის გამოსაძიებლად მოვიდა ჩემთან ჯანიაშვილი — იმას ტაბურეტა და სულელი ვუწოდე. დიახ, ჩვეულებრივი, შეუღებავი ტაბურეტა.

რაღა გინდათ ამაზე მეტი. ბოლოს და ბოლოს ერთი კაკალი კაცი ვარ, პოლიუსებს ხომ ვერ დამაპყრობინებთ! რაც შემიძლია მე ვიცა და ჩემმა სინიღისმა.

ვიქტორ გველესიანი

რაიონის საპარიკმახეროში

ნახ. ღონისა

გაგვეხარდება ყველასო...

(მოლთი, ორჯონიკიძის რ.)

ხიდი დაგვენგრა, ნიანგო,
საშიში არის გასვლაო.
სურვილებს ველარ ვისრულებთ
თუ გაღმა გვინდა წასვლაო.

კლუბი ვაშენეთ, რა კლუბი! —
დაკეტილი აქვს კარიო.
ჩამოამტვრიეს ფანჯარები,
შიგ დაზუზუნებს ქარიო.

კიბეზე ასვლა თუ გინდათ,
ხომ დიდი გასაჭირია, —
ოთხად გასკდება თავი და
ალარ შეგრჩება ცხვირია.

მაყურებლების საჯდომად
„ბლომად გვაქვს“ რბილი სკამიაო.
კლუბში თუ რამე ჩატარდა
დაჯდება მხოლოდ სამიაო.

რადიო იყო, წაიღეს,
გაწყვიტეს მისი ხაზიო
და ველარ ვისმენთ ვერაფერს,
გულში დაგროვდა ბრაზიო.

ნიანგო, ახლა ამის გთხოვთ,
შენგან მოველით შეველასო:
თუ გაგვიკეთებ ამ საქმეს
გაგვეხარდება ყველასო.



— ხომ არ გაწუხებთ სამართველი?



დილა. გაჯავრებული ნიანგი თავის კაბინეტში ბოლთას სცემს და ნერვიულად ჩიბუხს ეწვევა. კარებთან ჩოჩქოლია. ხმაურია ისმის.

- რალაც... ქალის ხმა ისმის მგონი?!
- დიახ, სამი ქალი ლოყებს იკაწრავს.
- ავტოს ხმა იყო, მოვიდა ვინმე?
- არა, ის მოიყვანეს.
- ემ აღინით?
- დიახ.
- თქვენი გვარი?
- სულავა...

— აა, გიცნობთ, გიცნობთ! სასიამოვნოა, თქვენ მგონი მეხუთე დისპანსერში ბრძანდებოდით, მგონია გამგეთ. კბილი მტკიოდა, ერთხელ მოვედი და მაშინვე მითხრეს თქვენი ქება. ასი კაცი ყავს მოხსნილიო, აქედან 30 ექიმი ყოფილა. პარტიულები, კომკავშირელები... თქვენ ბრძანდებით ის გრიზა სულავა არა?

- დიახ, ბატონო!
- არ გამიკვირდა?! აქედან გიცნობთ სწორედ...
- რაში იყო მაშინ საქმე?

— მოგესხნებათ... კაბინეტი, დისციპლინა, ერთმართველობა. უზრდელებია ჩემო ბატონო. მეცნიერულ მუშაობას არ გაცლიან... სხვა რა დაგვრჩენია მეტი, რისთვის ვართ გაჩენილი ამ ქვეყანაზე.

- უხ, შენი გაჩენის საათი.
- დამშვიდდით, დამშვიდდით, თქვენც გკითხავთ. განაგრძეთ ამხანაგო სულავა. ეს მიბრძანეთ, როგორ მოხსენით?.

— ბოლტებივით, მოგესხნებათ კრიტიკას ვერ ვიტან...

- აჰა, გასაგებია, გასაგებია. აქ როგორ მოხვდით?

— ეხლა ბატონო სანიტარულ ჰიგიენური კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად გახლავართ და ემ აღინი მყავს. საერთოდ, მანქანაში რომ ვზივარ მიყვარს ფანჯრიდან თავის გამოყოფა... ნაცნობები დამინახავენ... მოგესხნებათ ადამიანის სუსტი მხარე...


- დიახ, დიახ, გასაგებია. სუსტი მხარე... ექიმი ლაბორანტი მამალაძის ქალი რად გადაიყვანეთ მეორე განყოფილებაში?

— ვინაიდან მამალაძის ქალი ვერ იტანს კომკავშირელებს, ამიტომ ისეთ განყოფილებაში გადავიყვანე სადაც კომკავშირელები არ არიან.

- აჰა! გასაგებია! ვინ არიან ესენი?
- ჩემი თანამშრომლებია, ეს ფანცხავე გახლავთ, თბილისის კომიტეტში რომ არ ეჩივლა, არ მოვხსნიდი.
- კეთილი. მაშ ეხლა თქვენ დაბრძანდით და ამათ ვკითხოთ.
- თქვენი გვარი?
- მე, ჩირგაძე ვარ, ბაბულია, ადგილკომის თავმჯდომარე...
- ნუ სტირით ქალო, რაა აქ სავალალო, რაშია საქმე.

— სულავა რომ დანიშნეს, გაგვეხარდა... ახლავარდა, შეგნებულო... საქმეს კარგად წაიყვანსთქო, მაგრამ თქვენს მტერს. იმედები არ გავგიმართლდა. თამამად, ამხანაგურად შევედი მის კაბინეტში. დამიღრიალა, გარეთ გამომავლო — მეცნიერულ მუშაობას ნუ მიშლითო სად ლაბარაკობ შენ გესმისო? ეს ექიმ სულავას კაბინეტი გახლავსო...

— შემდეგ?
— ყველაფერი წყალში ვადამიყარა... ხუთი წლის სტაჟი, მრავალჯერ მიღებული ჯილდოები, ადგილკომის თავმჯდომარეობა, და სხვა. ეს მაშინ როდესაც ყველა ამხანაგებმა და რაიკომმა რეკომენდაცია მომცა



პარტიაში შესასვლელად. ეგ კი არა, ისიც კი მითხრა, რა მცოდნია შენი ადგილკომობისო, პროფკავშირი რა არის და მისი გაკეთებული საქმე ვის უნახავსო.

- მიზეზი?
- გამიწყრა ღმერთი, შევეკამათე სულავას...
- მერე რა, ეს ამხანაგური თვითკრიტიკაა.

— დიახ, მაგრამ... ვინ მოგცათ მაგის უფლება ჩემს ბრძანებას, აკრიტიკებთო, განცხადება დაწერე და მიბრძანდიო.

- კეთილი. თქვენც დაბრძანდით.
- რა ნივთები, რა ოქროს საათი, რა ორასი თუმანი, რა შუაში ვარ მე აქ? რა გატირებს ქალო, რაშია საქმე?

— მოგახსენოთ ამხანაგო ნიანგო. ახლავარდა ქალი ვარ, კომკავშირელი, მინდოდა სწავლის გაგრძელება, მოსკოვის დიდ ლაბორატორიებში მუშაობა. ბედმა ვამიღიმა, მოსკოვიდან საგზური მოვიდა. სულავამ მე გამომყო და მითხრა ჩქარა მოემზადეო. ორი თვის ხელფასი დაეხარჯე, ნივთებიც გაეყიდე: დედის ოქროს საათი, ქეიფი გადვიხადე, დავემშვიდობე მეგობრებსა და ნათესავებს...

- მერე?
- არ გამგზავნა, მოსკოვში გათხოვდებიო...
- კეთილი, თქვენც დაბრძანდით.

— თქვენ რას იტყვით ყმაწვილო კაცო?
— მეოთხე კურსის სტუდენტი ვარ, კომკავშირელი 1929 წლიდან. სულავასთან ბაქტერიოლოგის ადგილი იყო. დიდი სურვილი მაქვს ამ სპეციალობაზე მუშაობის. ძლივს ველირსე სულავას ნახვას. სახეზედაც არ შემომხედა. მერე როგორც იყო მითხრა — რაიკომიდან მოიტანე პუტიოვკაო — გამეხარდა, წავედი და მიუტანე... გათავებული მეგონა საქმე, მაგრამ იცით რა მიპასუხა? რათ აკლავ თავს ამ ადგილსო, უკვე მივიღე სხვაო და შენი პუტიოვკა იმას მიუტანე, ვინც გამოგატანაო...

- თქვენ რას იტყვით ამის შესახებ ამხანაგო სულავა?

— გაპარულა ამხანაგო!
— არა უშავს, მოვძებნით. აი რა: დღეს უსათუოდ შევივლი ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში წამალს გავამზადებ და იქ მიაკითხონ. ამხანაგ სულავას ურჩიეთ, რომ თავს კი ნუ გადმოყოფს „ემ აღინიდან“, პირდაპირ ცხენივით გადააჯდეს მანქანას, წინ, ფანრებთან და მაშინ ყველა დაინახავს.

ზაზი


ამხანაგო ნიანგო!

ვაგონების სარემონტო პუნქტის მუშებიათვის გაზეთების გამოწერა თავს იღო ანგარანის რეგისტრატორმა — თარგამელაძემ. „კვიცი გვარზე ხტისო“, ნათქვამია. მან რუსი ამხანაგების მისამართები თარგამელაძეობით ასე სთარგმნა: ვორობიოვის მისამართში გვარი — „ვარაბიოვი“ ბელურაძედ შესცვალა, ჩიშნაკოვი — ნიორაძედ გადმოა-

ქართულა, ვოლკოვი — მგელაძედ, პუშკოვი — ზარბაზნაძედ და ა. შ. ამიტომაც მოხდა ის, რომ თარგამელაძის თარგმნილი მისამართებით ვერც ერთმა აღნიშნულმა ამხანაგთაგანმა გაზეთი ვერ მიიღო.

ამას ჰქვია: „ნამეტანი „ჰეი-ჰაი“ ხარს უკუღმა წაიყვანს“-ო, ანუ კიდევ: „მეტისმეტი — ბრეტია“-ო!

კირილი.



საგაზეთო რომანი

კერპა — ასე უწოდებდნენ ერთერთ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს თანამშრომლები. — კარგ ხასიათზე ადგა დილით. ერთი გემოზე გაიზმორა, ხელპირი დაიბანა და სამსახურისაკენ გაეშურა. მზე უკვე საგრძნობლად ათბობდა. გაზაფხული ძალაში შედიოდა. ოხ, ეს გაზაფხული, პოეტების და შეყვარებულთა მტერი! როგორ უცბათ აურევს ხოლმე ზამთარში მოპოვებულ ჩვევებს, განწყობილებებს. მოვა გაზაფხული, გაიღიმებს მზე და ძარღვებშიც აჩუხუხდება სისხლი. პოეტები დადიან და ახალ რითმას ეძებენ ლექსიკონებში. მაგრამ ჩვენი კერპა პოეტი არ არის, რითმები მას არ აწუხებს. კერპა ექიმი და დირექტორის მოადგილე. თითქოს მისთვის სულერთი უნდა იყოს გაზაფხული, შემოდგომა...

მაგრამ ერთი სუსტი მხარე აქვს კერპას — შეყვარებულია. ოჰ, ეს სიყვარული! ყოველ გაზაფხულზე ახალი სიყვარული! ექიმი დიდხანია ფიქრობს ამაზე. რატომ ყოველთვის ახალი? განა ერთი არ გეყოფა, ჩემო კერპა? ცოლი ხო გყავს? კერპას გაეღიმა. ცოლი! ცოლი ცოლია, ხოლო სიყვარული, მხოლოდ



საყვარელთან შეიძლება. საერთოდ სიყვარული დიდხანს ვერ სძლებს. ცხრა თვე — ერთი წელი. სიყვარული მანამდე წარმტაცი, სანამ ქალი კიდევ მორცხვობს, სიტყვის თქმასაც ვერ გიბედავს, ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე ჯერ კიდევ არ ფიქრობს... გაცივდება სიყვარული და დაიწყება ვაჭრობა — ტუფლები მიყიდე, კაბა მიყიდე, რატომ დააგვიანე პაემანზე... ეჰ. გაჰქრა სიყვარული! ახალი უნდა ეძებო...

ამ ფიქრებში იყო გართული კერპა, როცა ინსტიტუტს მიაღწია. მტკვრის პირას მშვენიერი პარკია გადაჭიმული. ჩიტები ერთმანეთს დასდევენ, კოპწიაობენ. ფუნთუშა ბელურა მეგობარს უღალერსებს. მეგობარი კი ხმელ ბალახებს აგროვებს — ბუდეს იშენებს.

კერპა შესდგა. ღიმილი კვლავ გადაიჭიმა მის სახეზე.

— ჩიტებიც კი არშიყობენ. რა ბედნიერია ჩიტები! ყოველ გაზაფხულზე ახალი მეგობარი. და ეჭვიანობის, ყოველგვარ სცენის გარეშე! არც ტუფლებს ითხოვს, არც პუდრს, არც ისტერიკა, ტირილი, ცრემლები... აბორტიც არ სჭირდება. გამოაგორა კვერცხი და მორჩა...

ასეთ ფიქრებში იყო გართული ჩვენი ექიმი, როცა პარკის პირდაპირ ინსტიტუტის კარები შეაღო, სერიოზული გამომეტყველება მიიღო და თავის სამფლობელოში მკაცრად შესდგა ფეხი. აჰ, ინსტიტუტში კერპას სერიოზული, დინჯი ადმინისტრატორის სახელი აქვს მოხვეჭილი. ეს ერთობ ძნელია. გულში სიყვარულის ჩიტები გალობენ, შენ კი გამომხმარი პედანტის გამომეტყველება უნდა მიიღო. და ინდოურივით გაბერილი კერპა თავის კაბინეტის კარების შეღებას აპირებდა, როცა ხელში რაღაც ქალაღი მიაჩეჩეს. ექიმს დაავიწყდა სიღინჯე და უცბათ მოიხედა: ქალი, რომელმაც წერილი ჩაუდო ხელში, უკვე შორს იყო.

წერილი მოკლე, მაგრამ შინაარსიანი იყო: „ჩემო კერპო. დღეს, საღამოს აბანოში. ბილეთი აღებული მაქვს“.

— რა ლამაზი და ჭკუიანი ქალია! — გაუელვა ექიმს. — მოხერხებულიც! დღეს საღამოს სტუდენტებთან პრაქტიკული მაქვს არაფერია, ხვალისათვის იყოს. მეც სასიყვარულოდ ვარ განწყობი...

სიტყვის დასრულება ვერ მოასწრო კერპამ, როცა მისმა მეორე ხელმაც იგრძნო რაღაც ქალაღის დასაგვარი. „ნუ თუ კიდევ წერილი!“ გაუელვა ექიმს თავში და მარჯვნივ მოიხედა. ქალი უკვე შორს იყო. არ ესამოვნა მისი დანახვა და კაბინეტში მოკუმშული მუშტებით შევიდა.

— რას გავს ეს? როგორ ვერ უნდა მოიშოროს კაცმა ეს ქალი! ეს მეოთხე წერილსა მწერს. ნუ თუ ვერ მიხვდა, რომ აღარ მიყვარს?... ახალი გაზაფხულია, ახალი სიყვარული დაიწყო. ეს კი ისევ ძველებურათ მახეზრებს თავს. არა, მაგას რამე უნდა უღონო. შევარცხვენ, დღესვე შევარცხვენ. არ გინდა ჩამომშორდე? კარგი, ვნახოთ! ბიჭი არ ვიყო, თუ სამუშაოდანაც არ მოგხსნა!

ერთი საათის შემდეგ კაბინეტში უცნაური თათბირი შესდგა. მარტო მოთხრობებში და ფელეტონებში თუ შეიძლება ასეთი თათბირის მოწვევა. მაგდის გარშემო ისხდნენ: ჩვენი ნაცნობი ექმი, გვერდით ცოლი უჯდა, იქ

ვე დაწესებულების საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლები. შემოვიდა ქალი.

— ქალო, რატომ არ გრცხვენიათ ასეთ წერილებს რომ მწერთ. — ინსტიტუტში კარგად ცნობილი ხმით დაიწყო ჭკუის დარგება ექიმმა.

ქალი გაშრა, ფერი წაუვიდა. არ მოელოდა ასეთ ამბავს.

— მეოთხე წერილი მივიღე შენგან. ეს საძაგლობაა, საშინელება! სიყვარულს მიცხადებ მე, დირექტორის მოადგილეს!..

ალბათ კერპას იმედი ჰქონდა, რომ ეს შეტევა ქალს გაანადგურებდა, მოსაზრებას აურევდა და ატირებული, დამარცხებული, შერცხვენილი ქალი კაბინეტიდან კუდამოძებულად გაიქცეოდა. თავმომაბეზრებელ სიყვარულსაც მოიშორებდა და ცოლცას დაარწმუნებდა ერთგულებაში. მაგრამ კერპასაც ის დაემართა, რაც ორი კურდღლის მადევარს. გამწარებულიმა ქალმა ცრემლები მართლაც გადმოლ-



ვარა, მაგრამ არასასიამოვნო სიტყვებიც მიაცოლა.

— წაიკითხე, რა სწერია მაგ წერილში...

— მართლაც წაიკითხე, რა სწერია? — დაინტერესდნენ დამსწრენი.

ეს უკვე არ შედიოდა კერპას ანგარიშში, მაგრამ გამოსავალი არ იყო. წერილი ერთმა დამსწრემ გამოართვა ხელში და ხმამაღლა წაიკითხა. ავტორი ბოდიშს იხდის, რომ ამ წერილის ასლი ვერ გადაიღო, მაგრამ თუ მესხიერება არ გვღალატობს დაახლოვებით ასეთი რამ ეწერა:

„რატომ მემდური გენაცვალე კერპა? რატომ აღარ მცემ ხმას? სამჯერ მოგწერე წერილი და არ მიპასუხე. ეხლა მაინც მომწერე მიზეზი და მოგეშვები. თუ არ მომწერ მიზეზს, სულ ერთია მიზეზი მე ვიცი. შენ ბოლო დროს სხვა შეიყვარე და მე მიტომ აღარ გინდივარ. თუ მომწერ გულახდილად მოგეშვები, თორემ მეც თავმოყვარეობა მაქ

რატუ-რატუ

და მე ამ საქმეს შენ ცოლსაც გავაგებინებ და შენს ახლად შეყვარებულის ქმარსაც...

წერილმა იშვიათად ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა თათბირის მოწაწილეებზე, კერპა შეეცადა ამ შთაბეჭდილების გაფანტვას. მან კვლავ დაიწყო:

— არ გრცხვენია, ქალო, ასეთი წერილებს დაწერა...

— მრცხვენია? — ტირილით უპასუხებდა ქალი. — მრცხვენია! შენ მართლაც ურცხვი და უნამუსო ყოფილხარ — მთელი ხალხი შეყარე და აქ არჩევ შენ საზოგადოებრივ საქმეებს. ცხრა თვეს ცხოვრობდი ჩემთან, სამუშაო საფუძვლებში შენთან აღერს ვუნდებოდი. გასაქანს არ მადღევი, უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლიაო, ვინაიდან ჩემი ცოლი რკინასავით ცივიაო...

ამ დროს ლაწანის საშინელი ხმა გაისმა. პირველ სილას მოჰყვა მეორე. ეს კერპას გვერდით მჯდომი მისი ცოლი უმტკიცებდა ქმარს, რომ იგი არც ისე ცივია. ატყდა ყვირილი, დავიდარაბა. ცოლს ისტერიკა დაემართა. მოცვივდნენ ექიმები, სტუდენტები, ავადმყოფები, ერთი სიტყვით მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო: კერპას სიყვარული წაამწარეს, გაზაფხული მოუშხამეს.

მკითხველს უთუოდ აინტერესებს ერთი საკითხი: რით დამთავრდა ეს ამბავი. ავტორიც დიდხანს ფიქრობდა ამის შესახებ. მართლაც რით უნდა დაასრულო ასეთი მოთხრობა. მოიკლას თავი ქალმა, თუ კერპამ მიატოვოს აქაურობა და გადასახლდეს შორს, რომ ახალი ცხოვრება დაიწყო. მაგრამ კერპა პოეტი არ არის. კერპა ბიუროკრატია. და, როგორც მოსალოდნელი იყო, ეს ამბავიც „ბიუროკრატიულად“ დასრულდა. მეორე დღეს კერპას ცოლი მიუხტა მისი ქმრის პირველ საყვარელს პალატაში და კარგა მაგრად სცემა. სკამიც კი უთავაზა თავში. ხოლო მესამე დღეს გაბახებული, ნაცემი ქალი სამუშაოდან მოხსნეს.

კერპა კმაყოფილია. იგი კვლავ დამშვიდდა და საგაზაფხულო ოცნებას მიეცა. ერთ რამეს დარდობს კერპა. იმ დღეს პაემანზე ვერ შივიდა. საწყალი ქალი! ალბად დიდხანს იცდიდა. უცბად კერპას ეჭვი დაებადა: იქნება კერპას მიუსვლელობით გაჯავრებულმა სატრფომ სხვა მიიპატიუა... ვინ იცის?

ზის კერპა თავის კაბინეტში და ფრჩხილებს იკვნეტს: ნუ თუ მლაღატობს? ნუ თუ ეს მზაკვრობა დაუსჯელი დარჩება?


ავტორი საცხებით უთანაგრძნობს მოსიყვარულე კერპას:

— ნუ თუ ეს მზაკვრობა დაუსჯელი დარჩება?

არ გვგონია.

ზ. ბათომელი

* * *
ჩვენს ბალებში შესვლას უნდა ბილეთები ერთი ფუთი.



ერთი რამ აქვთ „გასართობი“ სალარო კი ოცდახუთი.

* * *
ცოლად ექიმი ვითხოვე, ჭანკვეტაძის ქალი ვეა.



მე ცხრანაირ წამალს მასმევს, თითონ კახურს შეექცევა.

* * *
ინჟენერმა მოედნების მოასფალტება გაშალა;



გეგმა დაჰყვა ასფალტის ქვეშ და ხელმეორედ აშალა.

* * *
ბაღში სურათი გადვიღე, (გეფიცებით მამის მზესა),



ფოტოგრაფმა მე გადმილო, სურათი ჰგავს ბიძაჩემსა.

ზ. ი.

„ნ ი ა ნ გ ი ს“


არსებობის 15 წლის უსრულაბასთან დაკავშირებით

გზალაბა სკაესიალუკი

ს ა ი უ ბ ი ლ ე ო

ნ ო მ ე რ ი

ტურტუკაი ასაჯებია



ტურტუკაი — ეს დიდი და მიუდგომელი ციხე-სიმაგრე იყო ერთ დროს, მაგრამ დიდმა რუსმა სარდალმა, გაბედულმა მეომარმა სუვოროვმა ის მაინც აიღო. აიღო და გახარებულმა მისწერა ეკატერინე დიდს ასე: „მადლობა ღმერთს და დიდება ჩვენ, ტურტუკაი ავიღეთ და იქ ვართ ჩვენ.“ ამბობენ, რომ ეკატერინემ სუვოროვი, (მიუხედავად მასი ასეთი გმირობისა) მაინც „პასუხის გებაში“ მისცა. ასეთი იყო თურმე მაშინდელი უდღეო და უსინათლო მეფური „კანონი“. სუვოროვს „კანონიერი“ ნებართვა უნდა მიეღო და მერე შეეტია, მაგრამ სუვოროვმა თურმე მაინც შეუტია „უნებართვით.“ მტერი, იცოცხლეთ კი დაამარცხა, ციხე კი აიღო, მაგრამ პასუხისგებაში მაინც ქე მისცეს. მერე ვინ? არც აცივა და არც აცხელა — თვითონ ეკატერინემ მისცა. ასე ამბობს ისტორია. როცა სამხედრო-საველე სასამართლო შეუდგა განაჩენის კითხვას—(ექვი არ არის „მეფური კანონის“ და „აღათის“ დარღვევისათვის სუვოროვისათვის თავი უნდა გაეგდებინებიათ), იგივე ეკატერინე სწორედ იმ განაჩენის კითხვის დრო შევიდა დარბაზში, ასწია წელი მალა და წამოაყრანტალა: **გამარჯვებულებს არ სჯიან**“. თქვე მამაცხონებულო, ჯერ თვითონ მიეცა ეს კაცი პასუხისგებაში და ახლა როგორ გამოგვასულელეთ ეს პატიოსანი „მოსამართლეებიო“ გაიფიქრეს გულში „მოსამართლეებმა“. ამბობენ, რომ ამის შემდეგ შემოვიდა ხალხში ასეთი თქმულება, „**გამარჯვებულებს არ სჯიან**“.

კამოს საავადმყოფოზე ამას ვერ ვიტყვით, იმიტომ რომ ეს ტურტუკაის ციხე-სიმაგრე ქალაქის ჯანგანყოფილებას ისეთი ქაცვიანი ეკლებით შემოურავგავს, რომ მისი აღება არ იქნება და არ მოხერხდა აგერ 10—15 წელიწადი გადის. 120 საწოლიანი საავადმყოფოა, (უკაცრავად ტურტუკაი). ეს, რიცხვი საწოლებისა კაი მოზრდილი რიცხვია. მუშაობა შეიძლება თავისუფლად! ჰაერი ეყოფა ყველას! დედამიწის ტერიტორიაც აიტანს! პარტია და ხელის-

უფლება დაჯინებათ მოითხოვენ ჩვენგან, რომ სამედიცინო კადრების მომზადებისათვის გამოიყენეთ ყოველი სამკურნალო-სანიტარული დაწესებულების ჭუჭრუტანაც კიო... მაგრამ ვინ ასრულებს ამას? ამ 10—15 წლის განმავლობაში მოხდა დედამიწაზე დიდი ისტორიული ამბები. იმზობა და იქცევა ყველაფერი იქ, მტრების ბანაკში — ბურჟუაზიის სამფლობელოებში... (ნეტა მალე მოედებოდეს ბოლო მათ, მე ეს არ ვიდარდო).

ჩვენში კი, ამ 10—15 წლის მანძილზე ვინ მოსთვლის რამდენი გამარჯვებები არ ვიგემეთ. რა არ გაკეთდა. მაგალითისათვის ვსთქვათ — აგერ ორი ხუთწლელი შევასრულეთ, აუარებელი ქარხნები და ფაბრიკები, ჰესები და სასახლეები ავაგეთ, მოსკვა-ვილგას არხი გავიყვანეთ, გამოვიდევლ-მოლაღატე ტროცკისტ-ბუხარინელი ბანდა შევმუსრეთ, ბოლოს, ჩრდილოეთის პოლუსიც კი დავიპყარით, პაპანიელებიც იქიდან მშვენივრად და უგნებლად გამოვსხით და... ვინ იცის კიდევ რა არ გააკეთეთ... მაგრამ ამ ტურტუკაის ციხეს — კამოს საავადმყოფოს აღებას, რომ რომელიმე კლინიკა შიგ შეგვეშვა, საწოლები გამოგვეყენებია და კადრების აღზრდის საქმე წინ წაგვეწია, ამას კი არაფერი არ ეშველა? არ ეშველა და არა! ასეთი ტურტუკაი მარტო კამოს საავადმყოფო როდია?! ასეთ ტურტუკაია **დედათა და ბავშვთა დაცვის ინს-ტის მთელი მესამე სართული**, სადაც „გამაგრებულია“ ციხის მთავარი უგვირგვინო „მეფე“ **სობესტიანსკი**; ასეთივე ტურტუკაია — რკინის გზის საავადმყოფოს მთელი გინეკოლოგიურა კორპუსები, სადაც „გამაგრებულია“ ქაჯეთის ციხის „მეფე“ **ზაკრჟევსკი** და ასე კიდევ, მოიძებნება შიგა და შიგ, მაგრამ... ამლები **სუვოროვი, კუტუზოვი, ტარიელი, ფრიდონი** და **ავთანდილები** კი არ ჩანან არსაიდან!

გვიშველეთ გმირებო, მოგვეხმარეთ. ტურტუკაი ასალებია!... საქმე გასაკეთებელია!... ჰაერი დედამიწაზე საკმარისია!..

ნაფუჟოლოკონსორი

სხელ - სხელი აგბეგი

ჩამორჩინა

წიფა. პურის ადგილობრივი მცხობელის, პეტრე ბიჩახჩევის მიერ გამოცხვარ პურში წიფის მცხოვრებლებმა გულშინ ერთი მეტრი თოკის და ნახევარი მეტრი მავთულის მეტი ვერაფერი აღმოაჩინეს.

დაწი

იზვიათი უმთხვევა.

სოფ. ნოჯიხევი. (ხობის რ.) მტს-ის დირექტორ ჩემინავას ორ დღეში 13 კაცზე მეტი არ გაულანძღავს, რაც იშვიათ შემთხვევას უნდა მივაწეროთ.

სუჯელი


წინ მივლივართ.

მწვანე კონცხი. ჩაის ტექნიკუმის სასადილოს მიერ დამზადებულ კერძში უკანასკნელ დღეებში ტარაკანების რაოდენობამ უკვე 1 1/2%-ით იკლო. ასეთი წინსვლას სასადილოს გამგე მისი ნაყოფიერი მუშაობის შედეგად სთვლის.

ქორბელი

კოოპერატიული ბასაჭირი

ნახ. ღონისა.



ნოქარი: — ბოდიში ამს. დირექტორო მისაშველებლად ვადმოვსტი, ვერ მივუსწარი, თათი ჩაპკრა ამ საოხრო კატამი..

ყვავის სკოლა.

სოფელ მელაანში (გურჯაანის რაიონი) ერთმა მოუსვენარმა ყვავ-
შა დაჭკვიანება მოიწადინა. თანამოძმე ყვავებს ურჩია პარაზიტობი-
სათვის თავი დაენებებინათ და პატიოსან ცხოვრებისათვის მოეკი-
დათ ხელი. თანატოლებმა არ დაუჯერეს. მაშინ ბახალეზე მიდგა
საქმე. შეკრიბა დაბრძენებულმა ყვავმა ბახალეები და მათი წესიე-
რად აღზრდა მოიწადინა.

სკოლა გახსნა ყვავმა.

რვეულები და სასწავლო ნივთები ბლომად ჰქონდათ. დილაად-
რიან შემოჯდებოდნენ ხეზე და ასეთი გაკვეთილი იმართებოდა:

— აბა, ყრანტალაძე, მითხარი რამდენი თვალი გაქვთ...

— არ ვიცი მასწავლებლო, ჩემს თვალებს ვერ ვხედავ...

— როგორ თუ ვერ ხედავ, მე თუკი ვხედავ, რომ ორი თვალი
გაქვს? დაედე! ორიანს ვიწერ!..

ატირდებოდა ბახალა ყრანტალაძე. მასწავლებელი მშობლებს
დაიბარებდა, მაგრამ არაფერი გამოდიოდა: ყრანტალას მშობლები
გაყრილები იყვნენ თურმე, მამა ალიმენტს არ იხდიდა. დედაც მა-
მის ჯიბრზე ყურადღებას არ აქცევდა და საწყალი ბახალა მიტოვე-
ბული ჰყავდათ.

სწავლების საქმე კარგად მიდიოდა. მხოლოდ ერთი რამ უშლი-
და ხელს მოსწავლეებს. წვიმიან ამინდში სწავლა იშლებოდა, რად-



გან თავშესაფარი არსად ჰქონდათ. ერთ ბუდეში ყველანი არ ეტე-
ოდნენ და ღია ცის ქვეშ ვერ სწირავდნენ თავს.

ეს ამბავი მელაანის სრულ საშუალო სკოლის მოწაფეებმა შე-
იტყვეს და აი რა მოხდა:

თქვენ გგონიათ დახმარება აღმოუჩინეს?

პირიქით:

— დაგვცინიან ეგ სალახანები! — თქვა ერთმა მოსწავლეთაგანმა.

— არაფერსაც არ დაგვცინიან! — შეეკამათა მასწავლებელი.

— მაშ რა არის, რომ წვიმიან ამინდში არ მეცადინებენ! რა-
ტომ არის რომ ბინა არ აქვთ და ისე სწავლობენ. მასხრად გვიგ-
დებენ, ჩვენ გვბაძავენ ნამდვილად!

— სწორია, მართალია! — წამოიძახა ყველამ ერთად. ხელში
შურდულები, ქვეები და სხვა იარაღი მოიმარჯვეს, დაიძრა ლაშქარი
და თქვენს მტერს ყვავის სკოლას რომ დღე დააყენეს.

იესო კურტანიძე

იყო და არა იყო რა, სოფ. ლუდში (ხაშურის რაიონი) იყო ერთი
მასწავლებელი და სჯობდა რომ არ ყოფილიყო. ეს იყო იესო კურ-
ტანიძე. და აი რანაირ გაკვეთილებს ატარებდა კურტანიძე:

— ბავშვებო, მითხარით ვინ იცის რა არის ნათელი?


— სინათლე, მასწავლებლო! — თქვა ერთმა.

— მიჰქარავ! — უბასუხა კურტანიძემ.

— ელნათურა, მასწავლებლო! — წამოიძახა მეორემ.

— ბოდავ! — შეესიტყვა იესო.

— ლამაზა, მასწავლებლო....



— მიედ-მოედები!

— არ ვიცი, აგვიხსენით მასწავლებლო.

— ნათელი არის ბავშვის მონათვლა... აბა ახლა მითხარით რა
არის მირონი.

— მირონი კაცის სახელია, ბიძაჩემს ჰქვია. — თქვა ერთმა.

— მიჰქარავ!... — უბასუხა კურტანიძემ.

— მირონი სასაქმებელი ზეთია, ბებია მითხრა მასწავლებლო!..

— გაეთრიე გარეთ!

— არ ვიცი აგვიხსენით მასწავლებლო...

— მირონი არის წითელი ღვინო, ნათელ-მირონი ორივე ერთად
ნიშნავს მონათვლას და ქეიფს. მაგალითისათვის აიღეთ გიორგი გო-
გოლაძე. მე მას ნათელი ვეცი, ბავშვი მოფუნათლე. მან მე მირონი
მცხო: ნუნუა ვადამაკერეგინა. არა გრცხვენიათ მღვდელმა უნდა
იცოდეს ეს ყველაფერი და თქვენ არა? ჩემს საგანში სუსტი გექნე-
ბათ ყველას.


— მასწავლებლო, შალიკო ამბობს, რომ ლუდი უფრო უკეთე-
სი სასმელია ვიდრე ღვინო, მართალია?

— ვირმა რა იცის ხურმა რა ხილია. ყველას სჯობია ღვინო კა-
ხური, კარგია მუხრანიც, სვირს და ატენსაც არა უშავს რა!

— ხვანჭკარა?

— ხვანჭკარას არ ვსვამ... მეორე გაკვეთილი გვექნება თემაზე:
„ნიორწყალი და მოხარული დედალი“ შემდეგ კი პრაქტიკულზე
სიკოსთან ვარ დაპატიებულები. აბა ხვალ გამოცდას ჩავატარებ
იცოდეთ. არ აითესოთ...

იყო და სჯობდა არ ყოფილიყო, მაგრამ ახლაც არის იესო კურ-
ტანიძე ლუდის დაწყებითი სკოლის „მასწავლებელი“.



გივიმ ფანჯრები მოხურა, კარებში გასაღები გაუშვა და ის იყო, იგი და მისი მეუღლე ბინის მიტოვებას ფიქრობდნენ, რადგან გივი სამსახურში, ხოლო ცოლი ბაზარში მიეშურებოდა, რომ აივანს ვიღაც კაცი მოადგა.

— ალფეზ!

— გივი!..

შეეხმაურნენ ერთმანეთს სტუმარ-მასპინძელი.

— მარინეს სიცოცხლე და დღეგრძელობა — მოათავა ალფეზამ მასპინძლებისათვის სოფლიდან ამოტანილი სალამ-ქალამი. ისე კი სულ ცოდეილო, ამოტანით არაფერი ამოუტანია. მოიმიზეზა სახლიდან აჩქარებით, ნაუცვამთევად წამოსვლა, ივდითის (ცოლია ალფეზის) ავადმყოფობა და სხვა ხელისშემშლელი მიზეზები, თორემ ღმერთი, ილაჯი, შუბლის ძარღვიც კი, ერთი სიტყვით, ყველაფერი გაიწყვიტა, რომ ქოჩორა ქათამს გივის ოჯახობისათვის ფეშქეშად ორი თვეა, რაც ივდითი გაძლიერებულად აპურებდა. და თუმცა ეს ქოჩორა კაი ხანია უქოჩოროდ და უბურტულოდაც განისვენებდა იქ, სადაც ბევრ ასეთ ქოჩორას განუსვენია, მაგრამ, ასე ვთქვათ, ენის დასამშვენებლად ქოჩორა მაინც ცოცხალთა შორის იქნა მოხსენიებული და მოშველიებულიც წუთიერი უხერხულობის გასაფანტავად.

გასჭრა კიდევ ალფეზას ამ ხერხმა. მასპინძელთ შორის გივი, უფრო გულუბრყვილო დაყვავებით მიუბრუნდა თავის ცოლს, ალფეზა რომ საფეხფარეშოში შევიდა გზას ტვირთისაგან სრულიად განსათავისუფლებლად, და ასე დაუწყო დარიგება:

— აბა, შენ იცი, მარინე, როგორ კარგ მასპინძლობას გაწევ დღეს. ცოტა უფრო მოხდენილი სადილი შეამზადე, არ აფიქრებინო, რომ რაკი სოფლიდან ხელცარიელი ჩამოვიდა, ჩვენზე ამან იმოქმედა და ამიტომ გულნაწყენები ვხვდებით.

მარინემ ქმარს არაფერი უთხრა.

ქმარმა ეს შენიშნა და, ასე ვსთქვათ, გულის გასაკეთებლად ცოლს მიუბრუნდა:

— არა უშავს, რადგან სახლიდან ნაუცვამ-დარჩება და ამ ცოტას გმირულად გაუძლებად არის წამოსული, ალბათ, ცოტახანს ულოთო.

ძნელი სათქმელია, დაიჯერა თუ არა ცოლმა გივის ეს მოსაზრება, ხოლო ამ დღეს მარინემ მართლაც ღიასახლისობის დიდი თავი გამოიღო და ისეთი სადილი შეუმზადა ქმარსა და სტუმარს, რომ ქალაქში მსგავს რამეს იშვიათად მასპინძელი დაიკვებდა.

გივიმაც, იმის იმედით, რომ ალფეზა ისევ ჩქარა მიატოვებდა ქალაქს, როგორც თავისი თქმით, ნაუცვამთევად მიატოვა მან ქალაქში წამოსვლისას მამაპაპეული სოფელი, ორი ბოთლი ღვინოც კი წამოიძღვანია სახლში მოსვლისას.

სადღერგრძელობებში დიდად მხურვალე მონაწილეობასაც კი ლებულობდა და ალფეზას მშვიდობიანი მგზავრობაც კი უსურვა შინ დაბრუნებისა და თავისი ცოლშვილის გახარებისათვის.

ალფეზას ცოლის სადღერგრძელობშიც მარინემ ოსტატურად ჩააქსოვა ალფეზას „შინ მშვიდობით დაბრუნების“ ძლიერი სურვილი.

მხოლოდ მეოთხე დღეს გაიგეს მასპინძლებმა, რომ ალფეზა ქალაქში სამსახურის საშოვნელად იყო ჩამოსული, რომ ვიღაც შეპირებოდა კიდევ მას სამსახურს და სხვა ასეთი.

— აი, ხომ გაიგონე, მივარდა ცოლი ქმარს, როცა ეს უკანასკნელი მან დაიმართხელა: შენი ალფეზა ფეხის მოცვლასაც არ ფიქრობს აქედან. ჯერ სამსახურის შოვნას რამდენი ხანი უნდა მოუნდეს — სოფლიდან ასე ყასრდათ ჩამოსული კაცი და მერე, სამსახურიც რომ იშოვოს, ბინის შოვნას რამდენი დრო დასჭირდება... მოდექი ახლა და არჩინე აგი გაქმადარი ვეშაპი (ალფეზას ახოვანებაც ხელს უწყობდა მარინეს ამგვარ მსჯელობას და ი მადლიანი მადაც, რომელიც ქალაქისაკენ ქარად მოვარდნილ სოფლის ჰაერს რომ მუდამ თან მოსდევს ხოლმე, ალფეზასთანა ყასიდ სტუმრებთან ერთად).

მაგრამ გადიოდა დღეები, კვირები, თვეები და ალფეზას სამსახურში მოწყობას კი დარი არ უჩანდა.

ოთხი თვე რომ უკვე მომრგვალდა ალფეზას სტუმრობაში, ცოლმა ქმარს გამანადგურებელი ირონიით მიმართა:

— დღეს ხომ ალფეზას სტუმრობის ოთხი თვის თავია. მოდი, საიუბილეო სადილს დავამზადებ.

გივის ცოტა არ იყოს გაუკვირდა.

იმ დღეს სადილზე ღიასახლისი არაჩვეულებრივს ხალისს და სიღარდიმანდეს იჩენდა. განსაკუთრებულის თავზაიანობით მიაწოდა კერძი უკვე მობეზრებულს სტუმარს, ასე რომ ალფეზაში თუ რამე ეჭვი იყო კი ამის შესახებ, იგი სამუდამოდ გაჭქრა მასში. და მიწოდებული კერძი არაჩვეულებრივი სისწრაფითა და მადმორეულობის გარეგანი ჩენით მიიწია თავისკენ.

სტუმარმა და მასპინძელმაც კოვზები მოიმარჯვეს და ერთად ერთი წვნიანი კერძით სავსე თევშებისაკენ გააქანეს.

მაგრამ...

— ვაი! — თითქმის ერთად წამოიძახეს ცოლმა და ქმარმაც.

ალფეზას კი, რომელსაც თვალებიდან მუშტის ოდენა ცრემლები მოსწყდა და დაბალუბით ჩაეშვა კერძით სავსე თევშში, თითქოს ენა დაბმიაო, რაღაც გაგიჟებულის გამომეტყველება დაჩნეოდა სახეზე და ამომწვარი ხახიდან ხორკლიანი „ჰ“ს მეტი ბგერა აღარ ამოსდიოდა.

— ჩემი სიკვდილი! — დაიწყო დარცხვენოლმა ღიასახლისმა ვითომდა თავის მართლებას: — ქე არ ამოუშაშხე ამ ხალხს გულმუცელი... ვაი ჩემს უტვინო თავს, მფორეჯერ მიყვია კერძისათვის მარილიო.

და მოყვა რაღაც მანჭვითა და გრეხით თავის მართლებას.

იმ დღეს სადილი, რა თქმა უნდა, არავის არ უჭამია. ალფეზა ნაცემი ზღარბივით აიბუზა და მთელი დანარჩენი დღის განმავლობაში ხმა არ ამოუღია.

მეორე დღეს კიდევ უარესი ისტორია განმეორდა, მხოლოდ ახლა ზედმეტმა პილპილმა ამოსწვა ხალხს ყელ-პირი. საგულისხმო იყო მხოლოდ ის, რომ როცა ცოლ-ქმარი ასე თუ ისე იტანდნენ ამ მოულოდნელ მარცხებს, ალფეზა პირდაპირ სიკვდილის პირამდე მიჰყავდა ამ გარეგნულად ერთსადაიმავე გამწვარებას.

მესამე დღეს კი, როცა უკვე პირდაპირ უხარშავი ლობიო კირკაეი ახაკუნდა ალფეზას თევშზე, ალფეზამ საგუშაგოზე მდგომი მილიციელის ყესტით გაიქნია ხელი ღიასახლისის მიმართულებით და მიაძახა, თითქმის მიაცვირა:

— ნუ სწუხდებით, ქალბატონო მარინე, მე თქვენ სადილს ველარ მოვუცდი, რადგან მატარებელზე მიგვიანდებოა, და ამის დასამტკიცებლად ჯიბიდან რკინის ჭზის ბილეთიც კი ამოშრილდა...

ქმარმა ცოლს გადახედა....

და ალფეზა რომ წავიდა, ცოლმა ტაში შემოჭკრა, ქმარს ყელზე მოეხვია და ცალი ხელის ლოყაზე მიცაცუნებით მიუაღერსა:

— არა უშავს, ჩემო იადონო, შენთვის ისეთი სადილი მაქვს დამზადებული, რომ წასული ორი დღის წყენას ერთბაშად გადაგავიწყებ!..

და გადმოალაგა სუფრაზე, რა გინდა, სულო და გულო.

ცოლქმარი რომ საკმაოზე ჭარბად დანაყრდნენ გემრიელი სადილით, ცოლი ღიმორეული სახით მიუბრუნდა ქმარს და გაანდო:

— იცი რა, ჩვენი კერძები რომ გუშინწინ ზედმეტ მარილმორეული, ხოლო გუშინ ზედმეტად პილპილიანი იყო, ახლა შენ ალფეზას კერძები უნდა იკითხო რაღა იქნებოდა, როცა თითი მუტა ზედმეტი მარილითა და ამდენივე პილპილით განგებ მისთვის მომარაგებულ თევშზე ვუსხამდი ამ ისედაც აუტანელ შეჭამადებსაო...

ახლა მკითხველისათვისაც გასაგები ხდება, რა უნდა იკმინდებოდა ალფეზა, რომ ენის დაძვრასაც ვერ ახერხებდა საქმლის პირველივე ლუქმის მიღების შემდეგ, როცა ცოლქმარი მარილისა და პილპილის მხოლოდ სიჭარბესა სჩიოდნენ....



ნახ. ლ. ბროდატსა.



ზემღვოში სტუმარი: — უოჩად გოგონა! რა კარგად დავიხატავს მამა... ახლა მე დამხატე!

მამა: — რას ბრძანებთ, სიმონ სიმონის-ძე! მაგას სად შეუძლია თქვენებრ ლამაზი კაცის დახატვა!

გულმოდგინა მოსაგარტოლა

(ქიათურა)



სასამართლოს თავმჯდომარის კაბინეტში კაცმა კარები მაგრად ჩაიკეტა.

ვანო, ვილუბები, მიშველე!..
 — რომელი ხარ შენ?
 — რავე, ვერ მიცანი? მე „ბუდიონის“ სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე პორფილე ტყემალაძე ვარ!
 — პორფილე ხარ კაცო შენ? უჰ, კი ვერ გიცანი უცბად, რა იყო, რა მოგივიდა?
 — რაღა რა მომივიდა, ქალაქი მივიღე, 114 მუხლი მაქვს წაყენებული.
 — ჩაიღინე რამე?
 — არა, ბევრი კი არაფერი, მაგრამ მაინც...
 — მაინც?
 — 25 სული გამწვევი ძალა დავასუსტე, ამდენი საღალღო სამუშაოებით, 3.000 აღმომაჩნდა გაფლანგული, შენ რაღა დავიმალო და ქრთამებსაც ვიღებდი და...
 — მერე?
 — მეტი რაღა გინდა შე დალოცვილო, ვილუბები კაცი...
 — გამოიხედე აქეთ! აიტ შე გლახა შენ, მაგან შეგაშინა ამხელა კაცი?
 — ვანო, შენი იმედი თავიდანვე მქონდა და ახლაც შენ უნდა მიშველო.
 — მოგიკვდეს ვანო კაპანაძე თუ არ დაგაძვრინო მაგ საქმიდან. მხოლოდ ყური მივღე...
 — შენი ჭირიმე შენი, და მე ვიცი მერე...
 — ახლა დამაცადე, აუარებელი ხალხი მიცდის და არ შემაწყვეტინო: ახლავე ამოარჩევ საიმედო მეგობრებს, რომლებსაც მოწვევად დასახელებ. დამცველად ჩემს ბიძაშვილს კაპანაძეს აიყვან და ისე ილაპარაკებს, როგორც შენთვისაა საჭირო; გასაგებია?

— გასაგებია გენაცვალე მარა!..
 — მარა რა?..
 — ახლავე უნდა წვედით დასალევად...
 — აჰ, შენ არ მომიკვდე, მე სანამ საქმეს ძიებამდე არ მივიყვან, ავანსად ქეიფი არ მიყვარს, ახლა წადი და ისე მოიქეცი, როგორც დაგარიგე...
 — ვანო, მივდივარ მარა კისრამდი სავსე ვიქნები შენი პატივისცემით, ნახვამდის...
 — ჰმ, რავე, ვანოს მაგისთანა საქმეები გაუკეთებია?—ჩაილაპარაკა ვანომ და ახლად შემოსულს მიუბრუნდა.

* * *

რამოდენიმე დღის შემდეგ სასამართლოც დაინიშნა. პორფილემ მეტად ნიჭიერად შეასრულა მეგობრის დარიგება და თავი, ვანოს სიტყვით რომ ვსთქვათ, მაინც დაიძვრინა.
 — ორაგული წყალში გადაავდესო — ზედ გამოჰკრილია შენზე ეს ანდაზა, — ესაუბრებოდნენ პორფილეს გზაში „მოწვევები.“
 — რავე კაცო?..
 — როგორ თუ რავე! ერთი წელი, ისიც პირობითი, შენთვის ცხონებაა.
 — ვანო, რომ არ ყოფილიყო 5 წელი არ ავცილდებოდა... პორფილე წელში გამართული მოდიოდა ქუჩაში და თავი ამაყად ეჭირა.
 სასამართლოს თავმჯდომარე იმ ღამეს მეტად მთვრალი მივიდა სახლში.
 — ნეტავი ვინ დაალევინა ამდენი ღვინო? — ფიქრობდა ვანოს ცოლი და ვერ მიმხვდარიყო, თუ ვინ იყო ამ საღამოს მისი ქმრის ასეთი პატივისცემელი.
 არქიფო.

მოსაიჩნა ყვავი

(თბილისი)

ამასწინათ რესტონარი „ოლიმპია“ ვინახულე, იგი ისე მომეწონა, რომ ორი თვე ვიმარხულე.
 როს გაიწყო სუფრა, ნელა მოვიმარჯვე პირი, ხელი... ჩავიკეცე იქვე, როცა ამოძრავდა მთელი ყველი,
 სუფრის ერთი მხარიდან ის სულ ბოლოზე გადაცოცდა. ჭამის მადა დამეკარგა, არ გვინდოდა არვის მოცდა.
 უცბად გამგეს, მკერვალიშვილს მივაშურეთ:
 — დაგვიხსენით, როგორ დარბის თქვენი ყველი საიდუმლო აგვიხსენით,
 გამგემ გვითხრა: მეგობრებო ნუ თუ გიკვირთ განა ესო, აქ მატლები ფიზკულტურას ატარებენ ყოველდღესო.

გ ა მ ო ტ ლ ა ზ ე

ნახ. დონისა.



პროფესორი: — განმარტეთ, როგორ ვლებულობთ მარისს?
 სტუდენტი: — სახვაცრობის მაღაზიებიდან ვყიდულობთ, ამხ. პროფესორო!

ტარხუნა.

ქართული მოხრობები



წვრილმანი ხარჯები

„დამსახურებული“

მოულოდნელად გარდაიცვალა ადგილკომის აქტიური წევრი არქიპო არეშიძე.

— ადგილკომის ხარჯზე უნდა გავსვენოთ! დაწესებულება დაგვეხმარება! — დაასვენეს თანამშრომლებმა.

და იმავე საღამოს ადგილობრივ გაზეთში გამოაქვეყნეს განცხადება — არქიპოს მოულოდნელი გარდაცვალების და დასაფლავების დატის შესახებ.

დასაფლავების შემდეგ დამკრძალავ კომისიის ხელმძღვანელმა ადგილკომს წარმოუდგინა გაწეული ხარჯების ზუსტი ანგარიში:

გვირგვინი	70 მან.
ყვავილები	10 „
სპირტი	7 „
ოდეკოლონი	8 „
მიცვალებულის დაბანა	30 „
მიტკალი ორი მეტრი	8 „
შურსი ფესხაცმელის	1
ფოლაქი	1 მან. 70 კაპ.
ბაწარი 3 მეტრი	2 „60 „
ძაფი შავი	„ 25 „
ძაფი თეთრი	„ 25 „
კონვერტები	„ 70 „
პაპიროსი	2 „50 „
ასანთი	„ 3 „
საწერი ქალაღი	„ 5 „
კიდევ ასანთი	„ 9 „
წვრილმანი ხარჯები	1741 „

სულ 1888 მან. 12 კაპ.

ანგარიში შემოწმებულია და სწორია ბუჩუყ კაპიკამდე: კომისიის თავმჯდომარე: საშიკო ცინციბელი

მატარებელს მძლე ელმავალი ქარივით მიაქროლებდა.

კუბეში მგზავრები საუბრობდნენ:

— მწერალთა კავშირის გამგეობა არაფერს აკეთებს კადრების, განსაკუთრებით ახალი კადრების აღზრდისათვის... მწერალთა კადრების მომზადებას კი უდიდესი კულტურული მნიშვნელობა აქვს... — ამბობდა ერთი ახალგაზრდა მოქალაქე,

— სწორია. — დაეთანხმა ერთი თანამოსაუბრე.

— კავშირში მიზიდვის ნაცვლად კარებს გვიკეთავენ... გვერეკებიან!...

— ნუთუ?!

— მწერალთა კავშირი კი არა, ერთი უმნიშვნელო კარჩაკეტილ ჯგუფის ორგანიზაციაა ჩვენი მწერალთა კავშირი...

— ეგ ბოროტებაა!

— დიად, ბოროტებაა! რამდენიც და რა გენიოსური შრომაც არ უნდა შექმნათ, მაინც კარებს არ გიღებენ... ჩემი ნაწერები...

— ბოდიში! თქვენ ბევრი გაქვთ ნაწერები?

— საკმაოდ ბევრი: ერთი დაუსტამბავი ნოველა და თორმეტი განცხადება მწერალთა კავშირში წევრად მიღების შესახებ. ერთი-მეორეზე დასტაზე მეტი გამოდის...

მ — ზა

ჩვენი ფოსტა

ვანელს (ხონი) არ გეთანხმებით, თითქოს მარტო საბარგო ავტოს მოფერებს შეეფერებოდეს თქვენი ლექსი —

შოფერები ავტოსი
ხალხს იკლებენ ხალტურით
ხუთმაგ ფასებს იღებენ
ფულითა და „ნატურით“.

ლიპას (მცხეთა) თქვენ თუ მუზა გაწუხებს, ჩვენ რალა დაგიშვებთ, რომ ასეთ „გამართულ“ ლექსებს იწერებით:

მუზა ისთე მაწუხებს,
რომ პარნასზე შევეორდი (?)
მინდა მხატვრულ სიტყვებში
დავამყარო რეკორდი (?).

მანას (აქვე) აი საუკეთესო ადგილი თქვენი ლექსიდან.

გივის მაკო დღეს გაებუტა,
ის კურსისტკაა ფრიადოსანი,
გივი სუდენტი მეორე კურსის
განთა (?) სიტურფის ლექსით მმოსავი.

შაგრამ ჩხუბი მან გამოიწვია
(შას შერიგება მოსდევს ისთევლე) (?),
რომ ჩვენმა გვიმ მაიკოს ნაცვლად.
ლექსით შეამკო ქალები ბრეველი. (?)

„სტილს“ რომ თავი დავანებოთ თემის შერჩევაშიც გეტყობათ, რომ საქმე შემოგლევიათ.

კოწი-კოწიშაწურს (ლაშე, ორჯონიკიძის რ.) ვაქვეყნებთ თქვენს ლექსს მდ. ჩხერიმელაზე ხიდის მშენებელთა სადიდებლად, თუმცა გვეიჭვება რომ საქმეს მარტო კბილის გაკვრამ უშველოს:

ჩხერიმელაზე, ჩვენს ლაშე-ღვერკში
დიდი ხანია არ არის ხიდი,
პროექტს ადგენს ათასნაირებს,
მაგრამ საქმე კი ჯერ წინ არ მიდის...

პროექტებისა სდგას მთა ზევაი
ვით ევერესტის სიმაღლე დიდი,
მოდო, ნიანგო, და შეუცვალე
ბიუროკრატებს სიფათი, ვიდი!

ხობელს (დ. ხობი) იწერებით:

მინდა ცნობა მოგაწოდოთ
ჩვენი კუთხის შესამკობი,
ფიზკულტურის (?) მოედანზე
რად არ ზრუნავს დაბა ხობი?.

ფიზკულტურაზე (და არა ფიზკულტურაზე) ზრუნვა საჭიროა მაგრამ სიტყვის კულტურაზეც უნდა ვიზრუნოთ.

ქართული
ბიზნისი



— რა უბედური ხრამებია, საშინელებაა პირდაპირს
 — რატომ, ძნელია რუკაზე აღნიშვნა?!
 — რუკაზე არა, მაგრამ ტანკისთვის...